

სანიმუშო საგამოცდო კითხვები

განყოფილება A

1. მოცემულია კომპანიის შემდეგი მონაცემები:

	საბიუჯეტო	ფაქტობრივი
ღირებულება	\$176,400	\$250,400
მანქანა საათები	4,000	5,000
სამუშაო საათები	3,600	5,400

კომპანიის ზედნადები დანახარჯების შთანთქმა სამუშაო საათების საფუძველზე ხდება. რამდენი იყო ზედნადები ხარჯების შთანთქმის დანაკლისი/სიჭარბე?

- ა დანაკლისი \$29,900
- ბ დანაკლისი \$14,200
- გ სიჭარბე \$14,200
- დ სიჭარბე \$64,900

2. შერჩევის რომელი ტიპი განიმარტება როგორც „შერჩევა, რომელიც ისე არის აღებული, რომ პოპულაციის ყველა ელემენტს აქვს შერჩევაში მოხვედრის თანაბარი შანსი“.

- ა შემთხვევითი
- ბ სტრატეგიული
- გ ქვოტური
- დ კლასტერული

3. კომპანიის მე-2 პერიოდის მონაცემები შემდეგნაირია:

ფაქტობრივი ზედნადები დანახარჯები	\$225,900
ფაქტობრივი მანქანა-საათები	7,530
საბიუჯეტო ზედნადები დანახარჯები	\$216,000

ზედნადები ხარჯების შთანთქმის საბიუჯეტო განაკვეთი იყო \$32 საათში.

რამდენი იყო საბიუჯეტო ნამუშევარი მანქანა-საათების რაოდენობა (საათის სიზუსტით)?

საათი

4. ზედნადები დანახარჯების შთანთქმის პროცესში, რომელია ზედნადები დანახარჯების ერთეულთან დაკავშირების საბოლოო ეტაპი?

- ა მიკუთვნება
- ბ გადანაწილება
- გ შთანთქმა
- დ ხელმეორედ გადანაწილება

5. XYZ აწარმოებს სამ ძირითად პროდუქტს. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დიაგრამა ან გრაფიკი საუკეთესოდ წარმოაჩენს ჯამურ შემოსავალს, რომელიც თითოეული პროდუქტის ყოველთვიური შემოსავლების მიხედვით არის ჩაშლილი?

- ა გაბნევის დიაგრამა
- ბ წრფივი გრაფიკი
- გ სექტორული დიაგრამა
- დ კომპონენტური სვეტოვანი დიაგრამა

6. ფასების შემცირების დროს, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ კომბინაციას გამოიწვევს ფიფოს მეთოდით შეფასებული მარაგები საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით შეფასებულ მარაგებთან შედარებით?

	გაყიდული საქონლის ღირებულება	მოგება	საბოლოო ნაშთი
ა	ნაკლები	მეტი	მეტი
ბ	ნაკლები	მეტი	ნაკლები
გ	მეტი	ნაკლები	ნაკლები
დ	მეტი	მეტი	მეტი

7. მწარმოებელი კომპანია იყენებს 28,000 კომპონენტს წლის განმავლობაში. მომწოდებლისგან ყოველი შეკვეთის მოცულობა 1,600 კომპონენტს შეადგენს, რომელიც წარმოადგენს შეკვეთის ეკონომიურ მოცულობას. კომპანიის ბუფერული მარაგი შედგება 800 კომპონენტისაგან. ერთი კომპონენტის წლიური შენახვის დანახარჯია \$3.50.

რამდენია მარაგების კომპონენტის შენახვის წლიური დანახარჯი?

- ა \$2,800
- ბ \$4,200
- გ \$5,600
- დ \$5,700

შემდეგი ინფორმაცია ეხება მე-8 და მე-9 კითხვებს:

ნორმატიული სამუშაო კვირა

36 საათი

შრომის ძირითადი განაკვეთი (პირდაპირი)

\$6.2 საათში

ზენორმატიული განაკვეთი

\$7.50 საათში

წინა კვირას, მთლიანი ნამუშევარი საათების რაოდენობა იყო 936. ზენორმატიული ნამუშევარი საათების რაოდენობაა 108. ყველა თანამშრომელმა იმუშავა მინიმუმ ძირითადი 36 საათი.

8. რამდენმა თანამშრომელმა იმუშავა წინა კვირაში?

ა 23

ბ 26

გ 29

დ შეუძლებელია დათვლა მოცემული ინფორმაციის გამოყენებით

9. რამდენი იყო მთლიანი პირდაპირი შრომითი დანახარჯები?

ა \$810

ბ \$5,133.60

გ \$5,803.20

დ \$6,210.00

10. მასალების მარაგების შეფასებისთვის თქვენი ფირმა იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს. 20X9 წლის 1 ოქტომბერს, 50 ერთეული იყო შესყიდული თითო \$15 ღირებულების. 8 ოქტომბერს -30 ერთეული თითო \$20 ღირებულების, და შემდეგ 14 ოქტომბერს – 40 ერთეული \$17 ღირებულების. 21 ოქტომბერს 60 ერთეული გაიყიდა \$1,800-ად.

დაითვალეთ 31 ოქტომბრის საბოლოო მარაგებია ნაშთის ღირებულება (დოლარის სიზუსტით)?

\$

11. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია მომსახურე ორგანიზაციის დამახასიათებელი ნიშანი?

ა არაპირდაპირი დანახარჯების მაღალი დონე მთლიანი დანახარჯების პროპორციაში

ბ იდენტური წარმოებული ერთეულები

გ ერთეულების დასაწყობების შესაძლებლობა

დ პროდუქციის ხანგრძლივი შენახვის ვადა

12. კომპანიაში სამი ქვედანაყოფია: ამწყობი, დამამთავრებელი და შენახვა-უზრუნველყოფის. ქვემოთ მოცემულია თითოეული ქვედანაყოფის საბიუჯეტო მონაცემები:

	ამწყობი	დამამთავრებელი	შენახვა- უზრუნველყოფა
მიკუთვნებული ზედნაღები დანახარჯები	\$90,000	\$100,000	\$10,000
პირდაპირი სამუშაო საათები	5,000	6,000	0
მანქანა საათები	10,000	3,000	2,000
მანქანა-დანადგარების შენახვა- უზრუნველყოფაში დახარჯული დროის პროცენტი	60	40	0
თანამშრომლების რაოდენობა	60	120	10

საამწყობო ქვედანაყოფისთვის რა იქნება ყველაზე შესაბამისი საწარმოო ზედნაღები დანახარჯების შთანთქმის განაკვეთი?

- ა \$9.60 მანქანა საათში
- ბ \$9.90 მანქანა საათში
- გ \$17.33 სამუშაო საათში
- დ \$18.33 სამუშაო საათში

13. A და B პროდუქტები ერთობლივ პროცესში იწარმოება. პერიოდისთვის ხელმისაწვდომია შემდეგი მონაცემები:

ერთობლივი პროცესის დანახარჯები	\$30,000	
წარმოებული პროდუქცია	პროდუქტი A	2,000 კგ
	პროდუქტი B	4,000 კგ
სარეალიზაციო ფასი	პროდუქტი A	\$12 კგ-ზე
	პროდუქტი B	\$18 კგ-ზე

რამდენო იქნება B პროდუქტის წილი პროცესის ერთობლივ დანახარჯებში თუ დანახარჯების გადანაწილების სარეალიზაციო ღირებულების მეთოდი იქნება გამოყენებული?

- ა 7,500
- ბ 18,000
- გ 20,000
- დ 22,500

შემდეგი ინფორმაცია ეხება მე-14 და მე-15 კითხვებს:

ნომბრის თვის საბიუჯეტო საწარმოო მონაცემები შემდეგნაირია:

	პროდუქტი X	პროდუქტი Y	პროდუქტი Z
წარმოებული ერთეულები	2,000	1,600	2,200
რეალიზებული ერთეულები	1,800	1,500	2,000
ცვლადი დანახარჯი ერთეულზე	100	80	120
შთანთქმული მუდმივი დანახარჯი ერთეულზე	30	30	50
ნამუშევარი საათების რაოდენობა	6	4.5	5

ნომბრის დასაწყისში არ იყო მარაგების საწყისი ნაშთი.

14. რამდენი იყო ნომბრის თვის საბიუჯეტო მუდმივი ზედნაღები დანახარჯების ოდენობა?

- ა \$810,000
- ბ \$739,000
- გ \$218,000
- დ \$199,000

15. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა სწორი?

- ა სრული განაწილებით კალკულაციის მეთოდით გამოთვლილი მოგება \$19,000 ნაკლები იქნება, ვიდრე ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის მეთოდით გამოთვლილი მოგება
- ბ სრული განაწილებით კალკულაციის მეთოდით გამოთვლილი მოგება \$71,000 ნაკლები იქნება, ვიდრე ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის მეთოდით გამოთვლილი მოგება
- გ სრული განაწილებით კალკულაციის მეთოდით გამოთვლილი მოგება \$19,000 მეტი იქნება, ვიდრე ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის მეთოდით გამოთვლილი მოგება
- დ სრული განაწილებით კალკულაციის მეთოდით გამოთვლილი მოგება \$71,000 მეტი იქნება, ვიდრე ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის მეთოდით გამოთვლილი მოგება

16. ქარხანაში სხვადასხვა საქმიანობის ღონეებისთვის დათვლილია შესაბამისი მთლიანი დანახარჯები:

საქმიანობის ღონე ერთეულებში	მთლიანი დანახარჯი
25	\$5,500
30	\$5,450
33	\$5,550
44	\$6,000
48	\$6,500
55	\$7,000

რამდენია ცვლადი დანახარჯები ერთეულზე და მთლიანი მუდმივი დანახარჯები?

- ა ცვლადი დანახარჯები \$50 ერთეულზე, მუდმივი დანახარჯები – \$4,250
- ბ ცვლადი დანახარჯები \$53 ერთეულზე, მუდმივი დანახარჯები – \$4,000
- გ ცვლადი დანახარჯები \$56 ერთეულზე, მუდმივი დანახარჯები – \$4,500
- დ ცვლადი დანახარჯები \$59 ერთეულზე, მუდმივი დანახარჯები – \$4,750

17. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მოსაზრებაა სწორი და რომელია მცდარი მუდმივ დანახარჯებთან მიმართებაში?

	სწორია	მცდარია
ზედნადები დანახარჯები ყოველთვის მუდმივია		
ჭარმოების ღონის მატებასთან მუდმივი დანახარჯები ერთეულზე კლებულობს		
გადაწყვეტილების მიღების პროცესში მუდმივი დანახარჯები ყოველთვის არარელევანტურია		
აქტიურობის ღონის ცვლილებასთან ერთად იცვლება მუდმივი დანახარჯები		

18. შეკვეთის შესასრულებლად საჭიროა 3,300 პროდუქტიული საათი, მაგრამ პროგნოზირებულია, რომ მოცდენის დრო იქნება 25%. თუ შეკვეთის შრომის მთლიანი დანახარჯი დაგეგმილია იყოს \$36,300, მაშინ რისი ტოლია შრომითი დანახარჯი ერთეულზე (ცენტის სიზუსტით)?

\$

19. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა სწორი ცვლად დანახარჯებთან მიმართებაში?

ცვლადი დანახარჯები როგორც წესი:

- ა უცვლელია ერთეულზე
- ბ იცვლება ერთეულზე წარმოების მოცულობის ცვლილებასთან ერთად
- გ იცვლება მთლიანობაში როდესაც წარმოების მოცულობა უცვლელია
- დ იცვლება მთლიანობაში, პერიოდიდან პერიოდამდე, როდესაც წარმოების მოცულობა უცვლელია

20. ხარისხთან დაკავშირებულ დანახარჯებში ქვემოთ ჩამოთვლილთაგან შორის რომელია შასაბამისობის და არაშესაბამისობის დანახარჯები?

	შესაბამისობის დანახარჯები	არაშესაბამისობის დანახარჯები
საქმის შეუსრულებლობა შიდა მიზეზის გამო		
პრევენციის დანახარჯები		
შეფასების დანახარჯები		
საქმის შეუსრულებლობა გარე მიზეზის გამო		

21. კომპანია შემდეგი წლის ბიუჯეტის შესადგენად იყენებს პერიოდული შედარების ანალიზს. შემდეგი მონაცემების და 3 თვის მცოცავი საშუალოს გამოყენებით, რას უდრის ოქტომბერს თვის სეზონური ვარიაცია?

თვე	სარეალიზაციო მოცულობა (000ში)
ივნისი	770
ივლისი	750
აგვისტო	928
სექტემბერი	854
ოქტომბერი	834
ნოემბერი	1012
დეკემბერი	938
ა -66	
ბ -38	
გ 66	
დ 38	

22. შპს D იყენებს დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის მეთოდს. 2007 წლის საბიუჯეტო მუდმივი ზედნადები დანახარჯები იყო \$175,000, ხოლო საბიუჯეტო წარმოების მოცულობა იყო 5,000 ერთეული.

2007 წლის განმავლობაში, ფაქტობრივი მუდმივი დანახარჯები შეადგენდა \$186,000 და წარმოების მოცულობა იყო 6,000 ერთეული.

რამდენი იყო ზედნადები ხარჯების შთანთქმის მთლიანი სიჭარბე ან დანაკლისი?

- ა შთანთქმის დანაკლისი \$24,000
- ბ შთანთქმის დანაკლისი \$11,000
- გ შთანთქმის სიჭარბე \$11,000
- დ შთანთქმის სიჭარბე \$24,000

23. ქვემოთ მოცემულია ნორმატიულ დანახარჯთა ბარათი K პროდუქტის ერთეულისთვის.

	\$/ერთეულზე
სარეალიზაციო ფასი	35
პირდაპირი მასალები	20
პირდაპირი შრომა	4
ცვლადი ზედნადები დანახარჯები	1
მუდმივი ზედნადები დანახარჯები	6

კომპანიამ აწარმოა 50,000 ერთეული და გაყიდა 60,000 ერთეული. მარაგების საწყისი ნაშთი იყო 25,000 ერთეული. დანახარჯთა ზღვრული კალკულაციით დათვლილი მოგება იყო \$180,000.

რამდენი იყო დანახარჯთა სრული განაწილების კალკულაციით დათვლილი მოგება?

- ა \$30,000
- ბ \$120,000
- გ \$210,000
- დ \$240,000

24. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა სწორი პირდაპირ დანახარჯებთან მიმართებაში?

- ა ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებული პროდუქტთან ან მომსახურებასთან
- ბ ისინი უშუალოდ არიან მენეჯერის კონტროლის ქვეშ
- გ ისინი წარმოიშებიან უშუალოდ ქარხნის გახსნასთან ერთად
- დ ისინი უშუალოდ მიეკუთვნება დეპარტამენტს

25. საქმიანობის სახეობების მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის მეთოდში რას წარმოადგენს საქმიანობის დანახარჯთა კალათა?

- ა საქმიანობა რომელიც მოიხმარს რესურსებს და რომლისთვისაც ხდება ზედნადები დანახარჯების იდენტიფიცირება და მიკუთვნება
- ბ საქმიანობა რომელიც იწვევს დანახარჯის ცვლილებას
- გ აღჭურვილობის ერთეული რომელზეც ხდება დანახარჯების დარიცხვა
- დ ბიზნესის ფართი რომელშიც ინახება წარმოებული პროდუქცია

26. რომელია საუკეთესო აღწერა ცენტრის რომელიც პასუხისმგებელია დანახარჯების და შემოსავლების მართვაზე?

- ა შემოსავლების ცენტრი
- ბ საინვესტიციო ცენტრი
- გ მოგების ცენტრი
- დ დანახარჯთა ცენტრი

27. 15% წლიური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება სწორად იყო დათვლილი როგორც \$850.

თუ საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა 5%-ით, წმინდა მიმდინარე ღირებულება შემცირდება \$900-ით.

რას უდრის პროექტის უკუგების შიდა განაკვეთი?

- ა 14,7%
- ბ 17.4%
- გ 19.7%

დ 20.3%

28. ინგლისის და უელსის 40 ოლქიდან მიღებული მონაცემების გამოყენებით დათვლილი იყო რომ კორელაცია ბატუტების მფლობელობის დონისა და კისრის დაზიანებების რაოდენობასა შორის არის 0.75. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ორი მოსაზრებაა სწორი?

- ა ბატუტების მფლობელობის მაღალი დონე მოცემულ ოლქში კისრის დაზიანებების მაღალ დონეს იწვევს.
- ბ ბატუტების მფლობელობასა და კისრის დაზიანებებს შორის ძლიერი დამოკიდებულებაა.
- გ კისრის დაზიანების დონის ცვლილების 56% აიხსნება ბატუტების მფლობელობის შესაბამისი ცვლილებით.
- დ კისრის დაზიანების დონის ცვლილების 75% აიხსნება ბატუტების მფლობელობის შესაბამისი ცვლილებით.

29. შემდეგი მოსაზრებები ეხება ელექტრონულ ცხრილებს:

- (1) ელექტრონული ცხრილის გამოყენება შესაძლებელია ბიუჯეტის შესადგენად.
- (2) ელექტრონული ცხრილი ძალიან მოსახერხებელია ტექსტის დასამუშავებლად.
- (3) ელექტრონული ცხრილები მონაცემების დამუშავებას უფრო მარტივს და სწრაფს ხდის.

რომელი მოსაზრებაა სწორი?

- ა მხოლოდ (1) და (2).
- ბ მხოლოდ (1) და (3).
- გ მხოლოდ (2) და (3).
- დ (1), (2) და (3).

30. კომპანია იყენებს ნორმატიულ ზღვრულ დანახარჯთა კალკულაციის მეთოდს. გასულ თვეში, როდესაც რეალიზაცია განხორციელდა ნორმატიულ სარეალიზაციო ფასით, ფაქტობრივი რეალიზაციის ნორმატიული ზღვრული მოგება იყო \$50,000, და მიღებულ იქნა შემდეგი გადახრები:

ცვლადი დანახარჯების მთლიანი გადახრა არახელსაყრელი	\$3,500
მუდმივი დანახარჯების მთლიანი გადახრა	\$1,000 ხელსაყრელი
რეალიზაციის მოცულობის ზღვრული მოგების გადახრა	\$2,000 ხელსაყრელი
რამდენი იყო გასული თვის ფაქტობრივი ზღვრული მოგება?	

- ა \$46,500
- ბ \$47,500
- გ \$48,500





დ \$49,500

31. წარმოების მუშის თვიური ხელფასი შეადგენს \$650, პლიუს დამატებითი 5 ცენტი ყოველ წარმოებულ ერთეულზე თვის განმავლობაში. ასეთი ტიპის შრომითი დანახარჯისათვის რომელია საუკეთესო აღწერა?

- ა ცვლადი დანახარჯი
- ბ მუდმივი დანახარჯი
- გ ეტაპობრივად მუდმივი დანახარჯი
- დ ნახევრად ცვლადი დანახარჯი

32. კომპანია იღებს საბითუმო შესყიდვის ფასდათმობას თუ შესყიდული მასალების რაოდენობა გარკვეულ დონეს აღემატება. ეს ფასდათმობა ეხება მხოლოდ მასალების იმ რაოდენობას რომელიც მოცემულ დონეზე მეტია, და არა მთლიან შეწყიდულ მასალის ერთეულებს.

მოცემული გრაფიკებიდან რომელი ასახავს აღწერილ სიტუაციას? (შესყიდვის მთლიანი ღირებულება – ერთეულები)



შემდეგი ინფორმაცია ეხება 33-ე და 34-ე კითხვებს:

დეკემბრის თვის განმავლობაში, საწარმოო პროცესის დროს წარმოიშვა შემდეგი დანახარჯები: მასალები – \$8,000, გადაუშვება – \$4,500. პროცესში ჩადებული იყო მასალების 2,000 კგ. ნორმატიული დანაკარგი არის 10% და ყველა დანაკარგს აქვს სალიკვიდაციო ღირებულება, რომელიც შეადგენს \$1.75 კგ-ზე. პერიოდის განმავლობაში, დასრულებული წარმოება იყო 1,700 კგ. საქყისი და საბოლოო მარაგების ნაშთი უდრიდა 0-ს.

33. რამდენი იყო დასრულებული წარმოების 1 კგ-ის ღირებულება?

- ა \$6.25
- ბ \$6.75
- გ \$6.94
- დ \$7.35

34. რამდენი იყო მოგება-ზარალის უწყისში ჩამოწერილი ზენორმატიული დანაკარგის ღირებულება?

- ა \$675
- ბ \$175
- გ \$2,025
- დ \$500


35. ჯოჯო საამწყობო კონვეიერის მუშაა, რომლის შრომითი განაკვეთი შეადგენს \$12 საათში 35 საათიან სამუშაო კვირაში. ზენორმატიული ნამატი ძირითადი განაკვეთის 50%-ია.

ბოლო ოთხკვირიან პერიოდში, ჯოჯოს აუნაზღაურეს 150 საათი. აქედან 15 საათი იყო მოცდენის დრო, რომელიც მანქანა-დანადგარის გაფუჭების გამო მოხდა. 4 საათი ზენორმატიულ ნამუშევარ დროს წარმოდგენდა, რომელიც მომხმარებლის მოთხოვნით სასწრაფო შეკვეთაზე იყო დახარჯული.

ოთხკვირიანი პერიოდისთვის საწარმოო ზედნადები დანახარჯების რა ოდენობა აღრიცხულ უნდა იქნას შესაბამის ანგარიშზე?

- ა \$216
- ბ \$240
- გ \$288
- დ \$360

36. გაყიდვების გუნდის რომელ წევრს ქონდა გაყიდვების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თებერვალში?



- ა ჯენი მანკუს
ბ როჯერ პერვაისის
გ მაიკ ქავსთიქს
დ შარონ ნიუიტს

37. ხარისხის კონტროლის დანახარჯების დაყოფა შესაძლოა შემდეგ კატეგორიებად: საქმის შეუსრულებლობა შიდა და გარე მიზეზის გამო, შემოწმების დანახარჯები და პრევენციის დანახარჯები. რომელ კატეგორიაში მოხდება ქვემოთ ჩამოთვლილი დანახარჯები?

- მომხმარებლის მომსახურების გუნდის ხარჯები
- აღჭურვილობის შენახვის ხარჯები
- სატესტო აღჭურვილობის მართვის ხარჯები

	საქმის შეუსრუ- ლებლობა შიდა მიზეზის გამო	საქმის შეუსრუ- ლებლობა გარე მიზეზის გამო	შემოწმების დანახარჯები	პრევენციის დანახარჯები
მარეგლის მომსახურების გუნდის ხარჯები				
ერვილობის შენახვის ხარჯები				
სტო აღჭურვილობის მართვის ხარჯები				

38. ჯონმა შეადგინა შემდეგი სახის ცხრილი. მას სურს გამოითვალოს კორელაციის კოეფიციენტი მის მიერ ყოველდღიურად მირთმეულ ხილისა და ბოსტნეულის რაოდენობასა (გაზომილია ნორმატიულ ულუფებში) და გამოცდაზე მიღწეულ წარმატებას შორის (დამაკმაყოფილებელი შეფასებების რაოდენობა C შეფასების ზემოთ).

	A	B	C	D	E	F
1	კორელაცია					
2		ვიტამინები	გამოცდა			
3		x	y	xy	x ²	y ²
4		0	6			
5		1	5			
6		2	4			
7		3	4			
8		4	6			
9		5	7			
10		6	7			
11	ჯამი					
12						
13	კორელაციის კოეფიციენტი	=				
14						

რა ფორმულა უნდა იყოს D13 უჯრაში?

- ა $(6*D11-B11*C11)/((6*E11-B11^2)*(6*F11-C11^2))^{0.5}$
 ბ $(7*D11-B11*C11)/((7*E11-B11^2)*(7*F11-C11^2))$
 გ $(7*D11-B11*C11)/((7*E11-B11^2)*(7*F11-C11^2))^{0.5}$
 დ $(6*D11-B11*C11)/((6*E11-B11^2)*(6*F11-C11^2))$

39. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მიეკუთვნება ღირებულების ანალიზს და რომელი ღირებულების ინჟინერიას?

	ღირებულების ანალიზი	ღირებულების ინჟინერია
მიმდინარე პროდუქტების განხილვა დანახარჯების შემცირების მიზნით		
პროდუქტების განხილვა შექმნის სტადიაზე დანახარჯების შემცირების მიზნით		

40. რომელი თანმიმდევრობა გვიჩვენებს მენეჯმენტის კონტროლის შემცირებას?

- ა ინვესტიციების ცენტრი → მოგების ცენტრი → დანახარჯთა ცენტრი
 ბ მოგების ცენტრი → ინვესტიციების ცენტრი → დანახარჯთა ცენტრი
 გ დანახარჯთა ცენტრი → მოგების ცენტრი → ინვესტიციების ცენტრი

დ დანახრჯთა ცენტრი → ინვესტიციების ცენტრი → მოგების ცენტრი

განყოფილება B

ყველა კითხვა საკალდებულოა

1. Mrs Glam-ს სურს გააფართოოს მისი ტანსაცმლის მაღაზია. Mrs Glam-მა შეუკვეთა კომპანიას საზრის კვლევა მისთვის შესაძლო ვარიანტების მოსაძიებლად. ბაზრის კვლევის ღირებულება \$3,000 იყო. კომპანიამ მას ორი ვარიანტი შესთავაზა:

ვარიანტი 1

დარჩეს მის ამჟამინდელ შენობაში და განახორციელოს სარეკლამო კამპანია \$2,000-ის ღირებულების, რომელიც გაზრდის მისი მაღაზიის პროფაილს რეგიონში. ნავარაუდევია, რომ მისი შემოსავალი გაიზრდება 10%-ით მის მიმდინარე დონესთან შედარებით, რომელიც შეადგენს \$50,000 წელიწადში. ზღვრული მოგება შემოსავალზე 30%-ია.

ვარიანტი 2

გადაადგილოს მაღაზია ცენტრისკენ და წამოიწყოს სარეკლამო კამპანია ორივე პროფაილის გასაზრდელად და ახალ შენობაში გადასასვლელად. ეს უფრო ფართო კამპანია \$4,000 ეღირება, მაგრამ შემოსავალი გაიზრდება 18% მის მიმდინარე დონესთან შედარებით. ზღვრული მოგების ცვლილება არ არის მოსალოდნელი.

ადგილმდებარეობის ჩეცვლასთან დაკავშირებით მოსალოდნელია შემდეგი დამატებითი ხარჯები:

- გადაადგილების მოსალოდნელი ხარჯი არის \$1,500. ამაში შევა მაღაზიის აღჭურვა-მოწყობა, რომელიც მაშინვე იქნება გადასახდელი
- მაღაზიის ახალი აღჭურვილობა იქნება საჭირო \$2,500 ღირებულების. მათი ცვეთა მოხდება წრფივი მეთოდით.
- ყოველწლიურად წინასწარ გადასახდელი იქნება \$4,000. ეს გადასახადი 15%-ით მეტია ამჟამინდელ გადასახადზე ადგილმდებარეობის გამო.

დამატებითი ინფორმაცია:

- Mrs Glam-ის გამოყენებული კაპიტალის განაკვეთი შეადგენს 10%
- გაფართოების სასიცოცხლო ვადა 4 წელია

მოგეთხოვებათ:

- (ა) განსაზღვრეთ Mrs Glam-ის გაფართოების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული კომპონენტების რელევანტურობა ან არარელევანტურობა წმინდა მიმდინარე ღირებულების დათვლის დროს:

- | | | |
|-----|--|----------|
| (1) | \$3,000 - ბაზრის კვლევის გადასახადი | (1 ქულა) |
| (2) | \$625 - ახალი აღჭურვილობის ცვეთის წლიური ხარჯი | (1 ქულა) |
| (3) | \$1,500 - ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებული ხარჯები | (1 ქულა) |

- (ბ) დაითვალეთ ზრდადი ზღვრული ფულადი სახსრების მოგების მიმდინარე ღირებულება, რომელიც ვარიანტ 2-ისა და 1-ის შედარებისას წარმოიშვება.

(2.5 ქულა)

- (გ) დაითვალეთ ზრდად განაკვეთებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულება, რომელიც ვარიანტ 2-ისა და 1-ის შედარებისას წარმოიშვება.

(2.5 ქულა)

- (დ) თუ Mrs Glam-ი გადაიტანს ტანსაცმლის მაღაზიას, ამის დაფინანსება მოხდება მცირე (\$10,000) მემკვიდრეობით, რომელიც მას ღარჩა. მას აინტერესებს, მაღაზიის გადაადგილების ნაცვლად, უკეთესი ზომ არ იქნება ამ მემკვიდრეობის ინვესტირება და ოთხი წლის შემდეგ მთლიანი თანხის გამოყენება უფრო დიდ შენობაში გადასასვლელად.

მოგეთხოვებათ:

დაითვალოთ მემკვიდრეობის ღირებულება 4 წელიწადში, თუ მისი ინვესტირების ღარიცხული საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10%-ს.

(2 ქულა)

(ჯამური: 10 ქულა)

2. M Co მცირე საწარმო კომპანიაა. ხელმისაწვდომია შემდეგი ინფორმაცია:

საბიუჯეტო

შრომის განაკვეთი საათში

\$4

მუდმივი ზედნაღების ხარჯების

\$2.50

შთანთქმის განაკვეთი საათში

ფაქტობრივი

ნამუშევარი საათები

3,000 საათი

მუდმივი ზედნაღები დანახარჯები

\$9,000

გადახრები

შრომის განაკვეთი

300 ხელსაყრელი

მუდმივი ზედნაღები ხარჯების

200 ხელსაყრელი

ღირებულების გადახრა

მუდმივი ზედნაღები ხარჯების

500 არახელსაყრელი

ეფექტურობის გადახრა

მოგეთხოვებათ:

- (ა) ხელმისაწვდომი ინფორმაციის გამოყენებით, დაითვალოთ:

- (1) საბიუჯეტო მუდმივი ზედნაღები ხარჯების ღირებულების გადახრა და განსაზღვრეთ მუდმივი ზედნაღები ხარჯების ათვისების გადახრა ხელსაყრელია თუ არა. (2 ქულა)

- (2) შრომის ნაყოფიერების გადახრა (2 ქულა)

- (3) შრომის ფაქტობრივი განაკვეთი საათში (2 ქულა)

- (ბ) რას შეიძლება გამოეწვიოს მუდმივი ზედნაღები ხარჯების ნაყოფიერების გადახრის ზრდა?

- ა M Co სამუშაო ძალების გაფიცვის გამო, მოხდა მათი ნაწილობრივი ჩანაცვლება ქვეკონტრაქტორის თანამშრომლებით
- ბ ნშთანთქის ნორმატიული საათობრივი განაკვეთის არასწორი შეფასება
- გ მანქანა-დანადგარის მნიშვნელოვანი ნაწილი გაფუჭდა და წარმოების გასაგრძელებლად ესაჭიროება შეკეთება
- დ მომწოდებელმა ვერ შეასრულა მასალების საწყობში მიწოდება მოთხოვნის შესაბამისად. (2 ქულა)

(გ) M Co-მ იცის რომ შემდეგ თვეში მასალების შესყიდვა მოხდება სხვა მომწოდებლისგან. მიუხედავად იმისა, რომ ახალი მომწოდებლის ერთეულის ფასი ნაკლებია, M Co-მ იცის რომ მასალები ნაკლებად ხარისხიანი იქნება. M Co-ს მენეჯმენტს სურს გაარკვიოს რა სავარაუდო გავლენა ექნება ამ შესყიდვას მათ შედეგებზე.

როგორც ამ შესყიდვის არაპირდაპირი შედეგი, რომელია სავარაუდო გავლენა მასალების გამოყენებისა და შრომის ნაყოფიერების გადახრებზე?

მასალების გამოყენება

შრომის ნაყოფიერება

ა არახელსაყრელი

ხელსაყრელი

ბ არახელსაყრელი

არახელსაყრელი

გ ხელსაყრელი

ხელსაყრელი

დ ხელსაყრელი

არახელსაყრელი

(2 ქულა)

(ჯამური: 10 ქულა)

ფორმულების სია

რეგრესიული ანალიზი

$$a = \frac{\sum y}{n} - \frac{b \sum x}{n}$$

$$b = \frac{n \sum xy - \sum x \sum y}{n \sum x^2 - (\sum x)^2}$$

$$r = \frac{n \sum xy - \sum x \sum y}{\sqrt{(n \sum x^2 - (\sum x)^2)(n \sum y^2 - (\sum y)^2)}}$$

შეკვეთის ეკონომიური მოცულობა

$$= \sqrt{\frac{2C_0D}{C_h}}$$

პარტიის ეკონომიური მოცულობა

$$= \sqrt{\frac{2C_0D}{C_h(1-D/R)}}$$

